პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 17 თებერვალი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

36 (1031)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## გამოვასწოროდ ეს ნაკლი.

სამ თვეზე მეტია მას შემდეგ, რაც ჩვენი ნაწილები შევისო 1903 წელში დაბადებულ ახალწვეული წითელ არმიელებით. მათი გამოწვევის დღიდანვე ჩვენი ნაწილები, სხვა მუშაობასთან ერთად, შეუდგენ სკოლის გარეშე დარგის მუშაობას ახალწვეულთა შორის. დღემდე ამ დარგის მუშაობაში ჩვენ გვაქვს მრავალი მიღწევები, მხოლოდ უმთავრესად მთავარ ნაწილებში. უკანასკნელები და მათი პარტ-ორგანიზაციები მთავარ ყურადღებას ყოველთვის აქცევდენ და აქცევენ უპარტიო წითელ არმიელთა მიზიდვას სხვა და სხვა კუთხეებისა და წრეების მუშაობაში და მათ შორის პოლიტიკური-საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობის გაჩაღებას.

მაგრამ არის ისეთი ნაწილები, სადაც ეს მუშაობა მოკოჭლებს და მოითხოვს სწრაფ გამოსწორებას. რა არის უმთავრესად ამის მიზეზი? უპირველეს ყოვლისა ამის მიზეზია თვით ნაწილის სიმცირე და შორს დგომა მთავარ ნაწილისაგან. მეორეს მხრივ კი—ბინის უქონლობა, კუთხეების მოწყობისათვის სახსრის უქონლობა, წრეების ხელმძღვანელების უყოლობა და სხვა მრავალი.

ყოველივე ჩვენს ნათქვამს აუცილებლად ადასტურებს ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებული კორესპონდენციები მეხუთე ლეგიონიდან და პირველ საკავშირო ასეულიდან. ადვილი შესაძლებელია ასეთ მდგომარეობას სხვაგანაც აქვს ადგილი, რომლის გაგრძელება მომავალში დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი და დროზე მოეღოს მას ბოლო.

რა იქნება ამისათვის საჭირო? ნაწილების პარტ-ორგანიზაციებმა კლუბებთან ერთად უნდა გამოარკვიონ, თუ როგორაა მათ ნაწილში დაყენებული სკოლის გარეშე მუშაობა და უდიდესი ყურადღება მიაქციონ მათზე კარგი მანძილით დაშორებულ მცირე ნაწილებს. გარდა ამისა უნდა მოითხოვოს ანგარიშები ამ დარგში მომუშავე ყველა ამხანაგებს და გამოიმუშაონ მომავალი მუშაობის გეგმა, რომ ამით ბოლო მოეღოს სუსტ მუშაობას ადგილებზე. არ კმარა მარტო კუთხეებისა და წრეების დაარსება, არამედ საჭიროა მუშაობის გაღრმავება მათში, წითელ არმიელთა ჩაბმა ამ მუშაობაში და ისეთი ხელმძღვანელების გამოყოფა, რომლებიც თავიანთი ცოდნით და დაუზარებელი მუშაობით, შესძლებენ ამ დარგის მუშაობის სასურველ კალაპოტში ჩაყენებას ყველა ნაწილებში.

მაშ, ჩვენი უდიდესი ყურადღება ამ მნიშვნელოვან მუშაობისა და ნაკლის გამოსწორებისაკენ.

## სამხედრო პროკურატურასთან არსებულ საკონსულტაციო ბიუროს შესახებ.

ა/წ. 13 თებერვალს მე დავესწარი პირველად ქართულ დივიზიების სამხედრო პროკურატურასთან არსებულ საკონსულტაციო ბიუროს სხდომას, როგორც ერთ-ერთი წევრი ამ ბიუროსი.

ჩემს მოვალეობად ვთვლი აღვნიშნო ის არანორმალური მხარეები ბიუროს მუშაობაში, რაც არ აძლევს საშუალებას ბიუროს განახორციელოს არსებული დებულებით დაკისრებული მოვალეობანი და გაუწიოს დახმარება წითელ არმიელებს სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხების გამორკვევის და რჩევის მიღების საქმეში.

ეს არანორმალური მხარეები [illegible] აზრით არის შემდეგი:

1. შეკითხვაზე წითელ არმიელი იღებს პასუხს ძლიერ დაგვიანებით და აი რატომ:

ბიუროს მდივანს აქვს მიღებული სხვა და სხვა დროს „წითელ არმიელი"-ს რედაქციიდან აღარებული შეკითხვები, რომლების უმეტესობა არის ისეთი შინაარსიის, რომ ან სრულიად არ ეხება წითელ არმიელის ყოფა-ცხოვრებას ან და შეკითხვის დამწერს შეეძლო მიეღო გარკვეული და საბოლოო პასუხი მისი უშუალო უფროსისაგან ან ერთეულის სამხედრო კომისრისაგან. მაგალითად შეკითხვები; „ერთ კაცს უნდა ითხოვოს თავის ბიძაშვილი ერგება თუ არა". „მიცვალებულს რომ მიასვენებენ ზოგნი იხდიან ქუდს და ზოგნი არა, როგორ მოვიქცეთ"; „შეიძლება თუ არა ოჯახის წევრებზე საექიმო დახმარება და თუ შეიძლება როგორ მოვიქცე, რომ ვისარგებლო ამით" და სხვა ბევრი ასეთი, რომელზედაც პასუხის გაცემა შეიძლებოდა თვით ნაწილში.

ასეთი შინაარსის შეკითხვების დიდი რიცხვის გამო ბიუროს არა აქვს საშუალება თავის დროზე უპასუხოს იმ შეკითხვებზე, რომლების გაგება მართლაც ესაჭიროება წითელ-არმიელს და ვერ ღებულობს პასუხს თვით ერთეულში.

არის ისეთი შეკითხვები, რომლებიდანაც ვერ გაიგებ რას გეკითხება ავტორი. ასეთ შეკითხვებზე ბიურო კარგავს დიდ დროს და ბოლოს მაინც იძულებული ხდება უპასუხოს—„თქვენი შეკითხვა გაუგებარია".

2. თვით საკონსულტაციო ბიურო მუშაობს „წითელ არმიისა და ფლოტის სახლში", სადაც არ ეტანებიან ქართულ დივიზიების წითელ არმიელნი და უკანასკნელთ ძალიანაც რომ სჭირდებოდეთ ბიუროში მისვლა გაუჭირდებათ მისი ნახვა ასეთ უზარმაზარ შენობაში (13 თებერვალს ჩვენ იქ ვიყავით ორი საათი და ერთი წითელ არმიელიც არ მოსულა ჩვენთან).

ბიურო მოთავსებულია ისეთ ბინძურ და ცივ ოთახში, რომ იქ მუშაობა ყოვლად შეუძლებელია. ბიუროს ოთახში დგას მტვერიანი და ბინძური მაგიდა, აქ ისეთი ხმაურობაა (ფეხის ხმა, ლაპარაკი) ბიუროს ოთახთან გამვლელ ხალხისაგან, რომ ბიუროს წევრებს ერთმანეთის ლაპარაკი არ გვესმოდა, იმ ოთახში, სადაც მუშაობს ბიურო კარებს დასახურავად უნდა მიადგა მაგიდა (ისე კარები არ იხურება) და თუ ასე მოიქეცი ყოველ წუთში უნდა გამოწიო მაგიდა და გაუღო კარები იმ პირთ, რომლებიც ამ ოთახზე გავლით მიდიან მეზობელ ოთახში.

ვფიქრობთ, რომ ისეთი ავტორიტეტული დაწესებულება როგორიც არის საკონსულტაციო ბიურო უნდა იქნეს შესაფერისად მოწყობილი და ისეთ პირობებში უნდა იმყოფებოდეს, რომ წითელ არმიელს არ ეძნელებოდეს იქ მისვლა და ბიუროს წევრებიც მუშაობდენ იქ და არ ფიქრობდენ იმაზე, როდის გავათავებთ ამ ბეგარას. ზემოაღნიშნულის გამო ყოველივე ამ ნაკლის გამოსასწორებლად საჭიროა:

1. ერთეულების და დაწესებულებების უფროსობამ უნდა განუმარტონ წითელ არმიელებს რა და რა კითხვებით უნდა მიმართონ იმ თ „წითელ არმიელი"-ს რედაქციას.

ასეთი ზომით შემცირდება უბრალო და უმნიშვნელო შეკითხვების რიცხვი.

2. საკონსულტაციო ბიურო კი უნდა მოეწყოს სათანადო შენობაში, რომ ამით შესაძლებელი გახდეს ბიუროს მუშაობა და წითელ არმიელთა თავისუფალი მისვლა მასში.

ი. ასათიანი.

# ახალი რადიო ამბები

## ბანდიტიზმი-პოლონელ მენშევიკების ტაქტიკაა

ამ დღეებში პოლონეთში სინიავკა-ბრესტის გზაზე მოხდა თავდასხმა ავტომობილზე. სროლის დროს დაიჭრა შოფერი და რამოდენიმე ბანდიტი.

გამოძიებამ დაამტკიცა, რომ თავდასხმა მოწყობილია პოლონელ მენშევიკების მიერ. გამოირკვა, რომ პოლონეთის მენშევიკები კარგი ხანია აწყობენ ასეთ თავდასხმებს პოლიციის რაზმებზე და ყოველთვის ამას აბრალებდენ „საბჭოთა ბანდებს", რომ გაეჭირვებინათ საქმე პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

## როდის დაიწყება საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკება.

ჰავასის სააგენტოს ცნობით საფრანგეთ—საბჭოთა მოლაპარაკება დაიწყება არა უადრეს მომავალ კვირის პირველი დღეებისა.

## სსრკ-ში მოდის შვეიცარიის მუშათა დელეგაცია.

ციურიხში (შვეიცარიაში) გაიმართა „საინიციატივო კომიტეტების" ყრილობა. ყრილობაზე მიღებულ იქნა დადგენილება საბჭოთა კავშირში დელეგაციის გაგზავნის შესახებ.

## ავსტრიის მუშათა დელეგაცია ეკატერინოსლავში.

ქალაქიდან ეკატერინოსლავში ჩავიდა ავსტრიის მუშათა დელეგაცია. დელეგაციას დიდის ზეიმით შეხვდა სადგურზე ქალაქის პროფორგანიზაციები.

დელეგაცია დარჩება ეკატერინოსლავში 3 დღე.

## პროფესორ ტიმოფეევის გარდაცვალება.

უეცრათ გარდაიცვალა ცნობილი პროფესორი ტიმოფეევი.

განსვენებული იყო უკრაინის აკადემიის თავმჯდომარის მოადგილე და გამოჩენილი საზოგადოებრივი მოღვაწე.

# საბჭოთა კავშირში

## სსრკ-ს უმაღლესი სამეურნეო საბჭოს დეპეშა ა. კ. საბჭ. რესპ. კავშ. სახკომსაბჭოს

ამიერკავკასიის ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო შემდეგი დეპეშა:

საბჭოთა კავშირის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმი ესალმება ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკების კავშირის მთავრობას, ულოცავს სამი ახალი ბამბის ქარხნის გახსნას საქართველოში და უსურვებს შემდეგისთვის ბამბის საქმის განვითარებას წინანდებური წარმატებით.

ძერჟინსკი.

# საქართველოში

## საბჭოთა ხელახალი არჩევნები ლიუქსემბურგში.

ლიუქსემბურგში დაიწყო საბჭოთა ხელახალი არჩევნები. ხელახალ არჩევნებში მოსახლეობა ღებულობს აქტიურ მონაწილეობას.

## სამეურნეო მანქანები სოფლად

ახალქალაქის საკრედიტო ამხანაგობამ დაუკვეთა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები, მათ რიცხვში 2 ტრაქტორი.

ეს იარაღები მიღებულ იქნება მაზრაში მარტისთვის.

## ახალქალაქის მაზრის აღსადგენად

სსრკ-ს შრომისა და თავდაცვის საბჭოსაგან მიღებული 100 000 მანეთი ახალქალაქის აღსადგენად განაწილებულ იქნება კომუნალურ და სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის.

გადადებულ იქნა განსაკუთრებული თანხა ყველისა და კარაქის ქარხნის ასაგებად და შინამრეწველობის სახელოსნოების მოსაწყობად.

## ქუთ. შალეულობის ქარხანაში

ქუთაისის შალეულობის ფაბრიკისთვის შეძენილ იქნა აჭარისტანში ხოვის სისტემის 2.000 ქვაბი.

# „ევროპა და ამერიკა“

ამხ. ტროცკის მოხსენება.

15 თებერვალს, მოსკოვში ექსპერიმენტალური თეატრში ამხ. ტროცკი გამოვიდა მოხსენებით შემდეგ თემაზე: „ევროპა და ამერიკა“ მომხსენებელმა დაახასიათა უკანასკნელ წლებ მსოფლიოს მეურნეობის და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, განსაკუთრებით ევროპისა და შეერთებული შტატების ურთიერთობაში.

მოხსენებამ ძლიერ დააინტერესა მსმენელები. დარბაზი ისე იყო გაჭედილი, რომ ბევრი თეატრის გარედ დარჩა.

# მეაბრეშუმეობის კურსები თელავში

„ა. ოგანოვისა და კომპანია“-ს ფირმამ ამ სეზონში დაამზადა 35,000 კოლოფი აბრეშუმის ჭიის თესლი.

15 თებერვლიდან ეს ფირმა ხსნის ქ. თელავში მეაბრეშუმეობისა და თესლის საქმის ოთხთვიან კურსებს. მიღებულია 15 მსმენელი.

მსმენელები პრაქტიკულად და თეორიულად გაეცნობიან მეაბრეშუმეობის საქმეს, მიკროსკოპიულ გამოკვლევებს, ჭიების გაცოცხლებას, კვებასა და სხვა.

კურსების დასრულების შემდეგ მსმენელები დარჩებიან სამუშაოდ აღნიშნულ ფირმაში.

# საბჭოთა მტრები სარგებლობენ შემთხვევით.

პურის სიძვირე თეირანში.

თეირანში (სპარსეთში) თანდათან ძვირდება პური. ზოგიერთ ადგილებში პური ძნელი საშოვარი ხდება. დღითი—დღე იზრდება კუდები ფურნეებთან. პოლიციასა და მცხოვრებლებს შორის ხშირათ ხდება შეტაკებები.

დაინტერესებული პირები ავრცელებენ ხმებს, ვითომც საბჭოთა კავშირმა შესწყვიტა პურის შეტანა სპარსეთში.

დღემდის საბჭოთა კავშირს შეუტანია სპარსეთში 505 ათასი ფუთი პური.

საბჭოთა კავშირის მტრები სარგებლობენ შექმნილი მდგომარეობით და სცდილობენ აალელვონ მოსახლეობა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

# ტფილისის საუკეთესო მსროლელნი.

**შეჯიბრის შედეგები**

7 თებერვალს დასრულდა სროლის შეჯიბრი „ტფილისის საუკეთესო მსროლელის სახელწოდებაზე 1926 წლისთვის“.

შეჯიბრში დაშვებულ იქნენ წითელ არმიელები და კურსანტები, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ „კარგი მსროლელის სახელწოდება“, უფროსი შემადგენლობა, რომლებმაც აასრულა პირობა ამ სახელწოდებაზე და ის პირები, რომლებმაც გამოსთქვეს სურვილი სამხედრო და სამოქალაქო სამმართველოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან.

სროლა დაყოფილი იყო წინასწარ და შეჯიბრის სროლაზე შაშხანებით და რევოლვერებით, მასთან შეჯიბრზე დაშვებულ იქნენ ის მსროლელები, რომლებმაც აასრულეს წინასწარი სროლის პირობები.

ორივე სროლის პირობები გამოცხადებული იყო „ზარია ვოსტოკა“-ში 1925 წ. 22 დეკემბრიდან № 1061.

წინასწარ სროლაში მიიღეს მონაწილეობა:

შაშხანით, სამხედრო ორგანიზაციებიდან—271 კაცმა.

მუშებიდან—45 კაცმა.

რევოლვერებით, სამხედრო ორგანიზაციებიდან—30 კაცმა.

ამათგან შეჯიბრზე დაშვებულ იქნენ შაშხანით, სამხედრო ორგანიზაციებიდან—30 კაცი.

მუშებიდან—23 „

რევოლვერებით, სამხედრო ორგანიზაციებიდან—16 კაცი.

იმ გარემოების გამო, რომ სამხედრო მსახურნი თავის სამსახურის გვარობის მიხედვით უკეთ მომზადებული არიან საქმეში და რომ შეჯიბრის შანსები გათანასწორებულ ყოფილიყო,—სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის სროლის პირობები შემსუბუქებულ იქნა და ამას გარდა მათთვის დაწესებულ იქნა სხვა ჯილდო.

სროლის შეჯიბრის შედეგი გამოიხატება შემდეგში:

**ა. შაშხანით**

**სამხედრო ორგანიზაციები**

1. ჯარების სარდალთან განსაკუთრებული მინდობილობის თვის—ამხ. ვახნინი—მოხვედრის ჯამი 38+83=121 პირვ. ადგილი.

2. ტფილისის ქართულ მეთაურთა სკოლის ასეულის უფროსი ამხ. ლისინოვი—მოხვედრის ჯამი 38+76=114—მეორე ადგილი.

3. ქართულ მეთაურთა სკოლის ასეულის უფროსის თანაშ. ამხ. ველესიანი—მოხვედრის ჯამი 30+79=109 მესამე ადგ.

**მუშათა ორგანიზაციები**

4. არმიის შტაბის შოფერი. ამხ. დოლიჩი—მოხვედრის ჯამი—9+68=77—პირველი ადგილი.

5. რკინისგზის მთავარი სახელოსნო ამხ. ანტონ კიკნაძე—მოხვედრის ჯამი—24+50==74—მეორე ადგილი.

**ბ. რევოლვერებით**

6. ქართულ მეთაურთა სკოლა ამხ. გეგელაშვილი—მოხვედრის ჯამი 38—პირ. ადგ.

7. ამ. კ. საგ. კომისიის ჯარების ინსპექტორი ამხ. ნიკოლსკი—მოხვედრის ჯამი 30—მეორე ადგილი.

8. ამ. კ. საგ. კომისიის ჯარების ინსპექტორი ამხ. სიროტკინი—მოხვედრის ჯამი 19—მესამე ადგილი.

ვინც პირველი ადგილი დაიჭირა, მათ ენიჭებათ საპატიო სახელწოდება „შაშხანით (რევოლვერით) საუკეთესო მსროლელისა 1926 წლისთვის“. ამ სახელწოდებაზე მოწმობას იძლევა არმიის რევოლიუციური სამხედრო საბჭო.

არმიის სარდალმა, რომელსაც წინასწარი სროლის მიხედვით ყველა შანსები ჰქონდა პირველი ადგილის მიღების, მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ვერ მიიღო მონაწილეობა სროლის შეჯიბრში.

# სამხედრო საქმე.

## აირებისაგან თავდაცვა.

ზელინსკ—კუმანტის აირმსპონი.

ყოველგვარ აირმსპონის აგებულობის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ გაივლის თუ არა მასში მოწამლული ჰაერი, თავისუფლდება შხამისაგან და დაწმენდილი სახით გადადის სასუნთქ ორგანოებში.

ჩვენ არმიაში გვაქვს ზელინსკ—კუმანტის აირმსპონი. პროფესორ ზელინსკიმ და კუმანტმა გამოიგონეს და გააკეთეს ის აირმსპონი, რომელიც თვითეულ წითელ არმიელს აქვს.




სანახშირე კოლოფის (რესპირატორის) განაკვეთი.

ეს აირმსპონი შესდგება სამი მთავარი ნაწილისაგან:

1. ზედა ყელი.
2. ნახშირის დამჭერი ბადურა.
3. ნახშირის ნატეხები.
4. ბადურა.
5. ქვ და ყელი.

რესპირატორის, სარქველისა და ჩაფხუტისაგან.

რესპირატორი წარმოადგენს ლითონის მრგვალ-მოგრძო კოლოფს ორი ყელით (ქვედა და ზედა). კოლოფში ჩაიწყობა ხის ნახშირი. ეს ნახშირი შეიწოვს მავნე აირებს.

ზედა ყელში მიმაგრებულია რეზინის ჩაფხუტი, რომელიც მჭიდროდ ეკვრება და ჰფარავს თავსა და მთელ სახეს, ჩაფხუტს აქვს მუშები თვალისთვის.

როცა მეომარი გაიკეთებს აირმსპონს, ის სუნთქავს ნახშირის ფენის საშუალებით. მოწამლული ჰაერი შედის ქვედა ყელიდან, გაივლის ნახშირს, სადაც იწმინდება და შემდეგ გაივლის ზედა ყელს უკვე დაწმენდილი და ჩადის ფილტვებში.

რესპირატორი იხურება სარქველით, რომელშიაც ჩაიკეცება ჩაფხუტი, რომ არ დაზიანდეს.

აირმსპონს ატარებენ მხარზე გადაკიდულს და მარცხენა გვერდზე. ქვედა ყელი მჭიდროდ იხურება საცობით ნოტიოსაგან დასაცავად.

ჩვენს აირმსპონს შეუძლია იმუშაოს 8 საათის განმავლობაში.

პ.

# წითელი არმია ლენინის ანდერძების ერთგულია

„ძლიერი წითელი არმიით ჩვენ უძლევი ვიქნებით“.

რევოლიუციის პირველ დღეებშივე მუშებისა და გლეხების წინაშე წამოიჭრა საკითხი მთელს ქვეყანაზე პირველი სოციალისტური რესპუბლიკის დაცვის შესახებ.

რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ლენინი მოუწოდებდა დიდი, მუდმივი მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნისაკენ. და ლენინის ხელმძღვანელობით პარტიამ შექმნა ეს წითელი არმია. წითელ არმიამ ყველა მუშებისა და გლეხების დახმარებით უკუაგდო მოზღვავებული თეთრგვარდიელთა ბანდები და დამარცხა ჩვენი დახჩობის ცდები საზღვარ-გარეთელ ბურჟუაზიის ხიშტების საშუალებით.

სამოქალაქო ომის ცეცხლიდან ჩვენ გამარჯვებული გამოვედით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია შევასუსტოდ ჩვენი ყურადღება წითელი არმიისადმი.

ამხ. ლენინი არა ერთხელ აღნიშნავდა ამას თავის სიტყვებში; საბჭოთა მეცხრე ყრილობაზე 1921 წლის დეკემბერში ამხ. ლენინი ამბობდა: „სამხედრო მზადება ჩვენ უნდა შევინახოთ ყოველ შემთხვევისთვის. ჩვენ არ უნდა დავ მედღეთ იმ გარემოებით, რომ იმპერიალიზმი რამოდენიმედ მიბეგვილია, ჩვენ ჩვენი წითელი არმია რ.ც ა უნდა იქნას უნდა ვიყოლიოთ საბრძოლო მზადებაში და გავაძლიეროთ მისი საბრძოლო უნარი“.

ამხ. ლენინის ამ ანდერძს ჩვენ მტკიცეთ ვასრულებთ.

მუშაობის წლებმა ულენინოდ ჩვენ დიდი მიღწევები მოგვცა სოციალიზმის აღმშენებლობის ყველა დარგში. დიდი მიღწევები გვაქვს ჩვენ წითელ არმიაში. ამხ. ფრუნზეს ხელმძღვანელობით ჩვენ დიდი მუშაობა ჩავატარეთ წითელი არმიის რეორგანიზაციის (კადრებისების) საქმეში. ამასთან დაკავშირებით გაუმჯობესდა მთელი მუშაობა არმიაში, გაუმჯობესებულია წითელი არმიის ყოფა-ცხოვრებითი პირობები, გაუმჯობესებულია სწავლების საქმეც მასში.

დიდი მიღწევები გვაქვს აგრეთვე ტერიტორიალურ აღმშენებლობის საქმეში. ტერიტორიალური დივიზიები ვრცელდება საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების უფრო და უფრო მეტ მოსახლეობაზე.

ტერიტორიალური ნაწილები თავიანთ ბრძოლის უნარიანობით, მათში სწავლების საქმის დაყენებით მალე არაფრით არ ჩამორჩებიან კადრის ნაწილებს. იზრდება სამხედრო კუთხეებისა და წრეების რიცხვი მთელს ქვეყანაში. სამხედრო საქმის შესწავლაში თანდათან ებმება ამ სამხედრო კუთხეების, წრეებისა და წვევამდე მომზადების საშუალებით მთელი ჩვენი ახალგაზრდობა.

რამდენი წელიც გადის, ჩვენ თანდათან უახლოვდებით ლენინის მიერ ნაჩვენებ ძვე მიზნებს.

ჯერ კიდევ 1905 წელში ლენინი სწერდა: „დეე შეუერთდეს არმია შეიარაღებულ ხალხს, დე წაიღონ ჯარის კაცებმა ხალხში თავიანთი სამხედრო ცოდნა, დე გაჰქრეს ყაზარმა და შეიცვალოს ის თავისუფალი სამხედრო სკოლით!“

აი სწორედ ამ გზით მიდის დღეს ჩვენი კავშირის სამხედრო აღმშენებლობა.

დღეს ჩვენ ტერიტორიალურ ჯარების გვერდით უნდა გვყავდეს მუდმივი ძირედი არმია, ვინაიდან ყოველ წუთში მოსალოდნელია თავდასხმა მსოფლიო მტაცებლების მხრივ. მაგრამ დღესვე, ტერიტორიალური ნაწილებისა და წვევამდე მომზადების საშუალებით, რომელიც ფართედ სწარმოებს ამჟამად მოსახლეობაში სამხედრო ცოდნის შეტანის მიზნით,—სწარმოებს არმიისა და მოსახლეობის შეერთება.

ჩვენ გარშემორტყმული ვართ მტრებით, ჩვენ გვიძნელდება სოციალისტური მეურნეობის შენება, მაგრამ ჩვენ გვყავს წითელი არმია, რომელიც იცავს მშვიდობიან შრომას. ეს წითელი არმია ჩვენ უნდა ვიყოლიოთ სრულ საბრძოლო მზადებაში, ეს არმია ჩვენ ყოველმხრივ უნდა განვამტკიცოთ, რათა საჭირო დროს სათანადო პასუხი გავსცეთ მშრომელთა სახელმწიფოს კარზე მომდგარ ვერაგ მტერს.

საკავშირო კომუნისტურ პარტიის (ბ) მეთოთხმეტე ყრილობამ, რომელიც ეს-ეს იყო დამთავრდა, თავის რეზოლიუციებში განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ჩვენი წითელი არმიის განმტკიცების უდიდეს მნიშვნელობას. მართალია ჩვენ ომი არ გვინდა, მართალია ჩვენ ვაწარმოებთ მშვიდობიანობის პოლიტიკას, მაგრამ ეს მშვიდობიანობის პოლიტიკა არ უზრუნველ გვყოფს ჩვენ სავსებით ჩვენი მტრების თავდასხმისაგან. აი რატომ იყო, რომ ყრილობამ დაადგინა: „მიღებულ იქნას ყველა ზომები, რათა ამაღლებულ იქნას წითელი არმიისა და წითელი საზღვაო-საჰაერო ფლოტების ძლიერება“.

თვითეულ წითელ არმიელს, თვითეულ მუშასა და გლეხს მუდამ უნდა ახსოვდეს საკავშირო კომუნისტურ პარტიის (ბ) მეთოთხმეტე ყრილობის ეს გადაწყვეტილება. თვითეულ მათგანს უნდა ახსოვდეს ამხ. ლენინის სიტყვებიც:

„ძლიერი წითელი არმიით ჩვენ უძლევი ვიქნებით“.

ა. ფ.

# ძიება არმიის თვალი და ყურია.

შეისწავლე დურბინდის, ყიბლანისა და რუქის ხმარება

გარდა განსაკუთრებულ თვისებებისა, რომლებითაც უნდა განირჩეოდეს ქვეითი მძიებელი, მას უნდა შეეძლოს ხმარება დურბინდის, ყიბლანის და რუქის. ეს საგნები აუცილებელი რამაა ძიების დროს. მაგალითისთვის ავიღოთ ასეთი შემთხვევა: მძიებელი ხიდან უთვალთვალებს მოპირდაპირეს უდურბინდოდ. ის ხედავს, რომ მტერი რაღაცას აკეთებს—შეჯგუფულა რამოდენიმე ალაგას 10—15 კაცი. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს მტერი ჯგუფურ მეცადინეობას აწარმოებდეს. მოდის მეორე მძიებელი დურბინდით და ხედავს, რომ ეს ჯგუფები გულხელდაკრეფილნი კი არ სხედან, და უსმენენ მეთაურებს, არამედ ნიჩბებით თხრიან სანგრებს და აშენებენ რაღაც სიმაგრეებს.

აი როგორ შეიძლება შესცდეს მძიებელი უდურბინდოდ; ამისათვის მძიებელმა კარგად უნდა შეისწავლოს დურბინდის ხმარება და მისი მოვლა-მოფრთხილება.

დურბინდისთვის მავნებელია წყალი და მტვერი, ამიტომ უნდა უფრთხილდეთ მის დასველებასა და დამტვერიანებას. თუ რომ დასველდა და დამტვერიანდა, დაუყონებლივ უნდა გასწმინდო სუფთა ჩვარით და გაამშრალო, შუშა უნდა გასწმინდო ფრთხილად რბილი ტყავით ან სხვა რაიმეთი ისე, რომ არ გაიფხაჭნოს ის. მძიებელს უნდა შეეძლოს აგრეთვე ყიბლანის ხმარება და მისი მოვლა. ყიბლანი წარმოადგენს ერთგვარ ლითონის საათისებურ კოლოფს, რომლის შიგნით იმყოფება ისარი (როგორც საათში, მაგრამ ორივეს მხრით). ამ ისარს აქვს ერთგვარი თავისებურობა და მიმართულია ის ერთი წვეროთი ჩრდილოეთისაკენ (ისრის დამაგნიტებული ბოლო).

ყიბლანის საშუალებით მძიებელს ყოველთვის შეუძლია ქვეყნის მხარეების გაგნება (აღმოსავლეთი, დასავლეთი სამხრეთი და ჩრდილოეთი). ხოლო ეს კი აუცილებელია მძებლისთვის, ვინაიდან მან უნდა გაუგზავნოს ცნობა, რა ნახა, რა გაიგონა და სად იმყოფება ამ ჟამად. უყიბლანოდ ძნელია გაგნება რუქაზე სად იმყოფები შენ და სად—მტერი. ამას გარდა ყიბლანით ადვილად შეიძლება დააყენო რუქა ისე, რომ რუქაზე აღნიშნული საგნები მოხვდენ ადგილობრივ საგნებს.

შეიძლება ქვეყნის მხარეების გაგნება დღისით მზით, ხოლო ღამით ვარსკვლავების მიხედვით. ყველამ ვიცით, რომ დილით მზე აღმოსავლეთითაა, შუადღეზე სამხრეთით, საღამოს დასავლეთით. ვარსკვლავების მიხედვით ქვეყნის მხარეების გაგნება შეიძლება ასე: ჯერ უნდა გამონახო დიდი დათვის ჯგუფი, რომელიც შესდგება 7 ვარსკვლავისაგან. ეს ჯგუფი მოთავსებულია კოვზისებურად, შემდეგ უნდა აიღო დაახლოვებით 4 ისეთი მანძილი, როგორიცაა დიდი დათვის ორ მეზობელ ვარსკვლავს შორის და გადაზომო მაღლა ორი განაპირო ვარსკვლავის მიმართულებით.

ი. ბ.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## უახლოვდებით გლეხებს.

4-ხე ლეგ. 3-მე ასეული.

8 თებერვალს მოხდა უჯრედის მორიგი კრება, რომელსაც დაესწრნენ უჯრედის მთელი შემადგენლობა და სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენლები. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: პარტორგანიზაციის სოფელთან დაკავშირება და 2-რე დივიზიის პარტკონფერენციის შედეგები.

სოფელთან კავშირის შესახებ კრებამ დაადგინა, რომ თვეში ერთჯერ ასეულის უჯრედის მორიგი სხდომები გადატანილი იქნეს სოფლად, რომელიც ხელს შეუწყობს პარტიის გლეხებთან დაკავშირების საქმეს.

მეორე საკითხის შესაფერად გაშუქების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული ენერგიულად აწარმოონ მუშაობა წითელი არმიის რიგების განმტკიცებისათვის და სასტიკი ბრძოლა აწარმოონ იმ დეფექტების წინააღმდეგ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წარსულ წლებში, რომ ამით კიდევ უფრო განვამტკიცოთ ნაწილის საბრძოლო უნარიანობა.

სამხედრო შ. ხონელიძე.

## ვსწავლობთ 14 პარტყრილობის დადგენილებებს.

1-ლი ლეგსკოლა.

ამ რამოდენიმე დღის წინად შესდგა სკოლის ახკომკავშირის ჯგუფის გაერთიანებული კრება, რომელზედაც განმარტეს 14-ტე პარტკონფერენციის რეზოლიუციები კომკავშ. მუშაობის შესახებ. დაწვრილებით იქნა გაშუქებული ამხ. ბუხარინის სიტყვიდან მნიშვნელოვანი ადგილები და გავარჩიეთ რეზოლიუციებიც. ამხანაგებმა მრავალი შეკითხვები შეიტანეს მოხსენების გარშემო.

მიმდინარე საკითხებში წამოიჭრა აგრეთვე საკითხი რემედასის უჯრედის მუშაობის შესახებ. ვამოირკვა, რომ შემოდგომაზე გამოწვეულ წით. არმიელებიდან ბევრი ყოფილა რემედასის უჯრედის წევრებად და არც ერთი მათგანი არ ყოფილა აყვანილი აღრიცხვაზე.

კრებამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და დაავალა კავშირის წევრებს ხელი შეუწყონ რემედასის მუშაობას.

მუშაობის გასაძლიერებლად კრებამ გამოყო რამოდენიმე ამხანაგი.

წ. არმ. ვარდია.

---

**სამხედროებო! ახლოვდება საქართველოს გასაბჭოების 5 წლისა და წითელ არმიის 8 წლის თავი. გამოგზავნეთ, რაც შეიძლება დაჩქარებით, კორესპონდენციები ამ დღესასწაულის შესახებ.**

---

## მოგვეცით ლიტერატურა.

1-ლი არტ-ლეგიონი.

1-ლი არტ-ლეგიონის მე-2-რე ბატარეიაში რამოდენიმე თვის წინეთ დაარსდა ავიოქიმის საზოგადოების უჯრედი. უჯრედში თითქმის მთელი ბატარეის შემადგენლობაა ჩაწერილი წევრებად. უჯრედს ყავს გამოყოფილი ბიურო. წევრები მეტად დაინტერესებული არიან ავიო-ქიმიის მნიშვნელობის შესწავლით, მაგრამ ბიურომ როგორი დახმარება უნდა გაუწიოს, როდესაც მას არავითარი სახელმძღვანელო ლიტერატურა არ მოეპოება. დრო არის, რომ ამ საზოგადოების ხელმძღვანელებმა სათანადო ყურადღება მოგვაქციონ ავიოქიმიის მნიშვნელობის შესწავლისათვის დაინტერესებულთ სათანადო ლიტერატურით.

სამხედრო ხონელი.

## გაასუფთავეთ, გაათბეთ მნახველთა ოთახი.

მეთაურთა სკოლა.

სკოლაში გამოყოფილია ერთი ოთახი, სადაც ხდება კურსანტებისა და მათ სანახავად მოსულ ნათესავების შეხვედრა. სამწუხაროდ ამ ოთახს ნაკლები ყურადღება ექცევა. თითქმის არას დროს არ იხვეტება, არ თბება და სხვა. როგორც მნახველებს, ისე კურსანტებს სიცივე იტანს იქ შეხვედრის დროს.

საჭიროა დაასუფთაონ და გაათბონ ოთახი.

კურსანტი შ. ქიტირელი.

## მოგვეცით სუფთა ადუღებული წყალი.

3-ე ლეგიონი.

ლეგიონში წითელ არმიელებს გვასმევენ ადუღებულ წყალს, რომელსაც „ბორშჩის“ ნახარშ ქვაბში ადუღებენ და საზიზღელი სუნი აქვს. ამას გარდა, როგორც ეტყობა ქვაბს არც ასუფთავებენ, რადგან წყალში გახსნილია ქონი და სხვა უსუფთაობა.

მოგვეცით სუფთა წყალი. რად არ აქცევს ჩვენი მნე ამას ყურადღებას?

სამხედრო ქლიბი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ჩვენი საქმიანობა.

მე-5-ე ლეგიონის მე-9-ე ასეული.

წვევამდელების გაშვებისთანავე ჩვენ შევუდექით ჩვენი პირადი სწავლის საქმეს, რომელიც მიმდინარეობს სისტემატიურად სამხედროსა და პოლიტიკურ დარგებში. ჩვენ ძირითად შემადგენლობას შეადგენენ აჭარელი წითელ-არმიელები. ამხანაგები ენერგიულათ ეკიდებიან სწავლას. დაარსებული გვაქვს სამხედრო წრე და აგრეთვე პოლიტიკურიც, რომლებშიაც ჯერ-ჯერობით მეცადინეობა მიმდინარეობს კვირაში ორჯერ. არა გვაქვს სათანადოთ მოწყობილი ლენინისა და სამხედრო კუთხეები, არცა გვაქვს ამათთვის შესაფერი ადგილები.

ამ კუთხეების დაარსება კი აუცილებელი საჭიროა, რადგან მოგველის დიდი მუშაობა მომავალში, მოკლე ხანში გამოვლენ წვევამდელები და მათ შემდეგ მოხდება ტერ-შეკრება. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამ თავისუფალ დროით და შევიძინოთ ცოდნა, რომ შეძენილი ცოდნა გადავცეთ მათ, ვინც უნდა გაიაროს ჩვენს რიგებში.

სამხედრო ნ. არ—ნი.

## ყოველთვის ჩვენთან არიან.

3-მე ლეგ. 1-ლი ასეული.

ჩვენი ასეული უკანასკნელად ძლიერ გამოცოცხლდა. აქამდე თუ ადგილი ჰქონდა ჩვენს ცხოვრებაში ზოგიერთ ნაკლოვანებას, დღეს ისინი სრულიად აღმოფხვრილია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მეთაურები დიდი მზრუნველობით გვეკიდებიან. ასეულის თავის საქციელმა ყველა დანარჩენი ამხანაგები წაახალისა და თავისუფალ საათებში ჩვენთან არიან, ჩვენზე ზრუნავენ და გვასწავლიან, გვესაუბრებიან სხვა და სხვა საკითხებზე.

ასეულის წითელ არმიელთა შემადგენლობა მადლობას უძღვნით ჩვენს აღმზრდელებს ასეთი ერთგულობისათვის და ვიმედოვნებთ, რომ მათი ასეთი მუშაობა ბოლომდე გასტანს ჩვენდამი.

წ. არმ. ალ. ხაშებაშვილი.

## სამაგალითო აღმზრდელები

მე-2 ლეგ. მეორე ასეული.

ჩვენი პოლიტხელი და სხვა მეთაურები დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენი აღზრდის საქმეს.

განაწილებული საათების გარდა ისინი თავისუფალ დროსაც ჩვენთან არიან და გვასწავლიან გვამეცადინებენ, გვიხსნიან წითელი-ჯარის მნიშვნელობას, რად უნდა იყოს ის პოლიტიკურად და კულტურულად მომზადებული სამხედრო ცოდნასთან ერთად და როგორი შედეგების მიღება შეგვიძლია მომავალში ამით.

განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან შემოდგომაზე გამოწვეულ წითელ არმიელების აღზრდის საქმეს. მადლობას უცხადებთ ამხანაგებს ამისთვის და სრული დარწმუნებული ვართ, რომ მომავალშიც მეტი ხალისით განაგრძობენ ისინი მუშაობას ჩვენი აღზრდის საქმეში.

სამხედრო ბერუაშვილი.

## მოვსპოთ გულგრილობა.

1-ლი საკავშირო ასეული.

ორ თვეზე მეტია, რაც ჩვენ ასეულში დაარსებულია სხვა და სხვა წრეები და უჯრედები, როგორიცაა: ლიტწრე, დრამწრე, სამხედროთა წრე, რემედასის უჯრედი, ავიოქიმის, წერკუმსისა და სხვა,—მაგრამ მათი საქმიანობა, მცირე გამონაკლისის გარდა არც სჩანს. წრეებისა და უჯრედების თითქმის სრული უმოქმედობის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ გულგრილ მოპყრობაში, რომელსაც იჩენენ ზოგიერთი ამხანაგები.

ამხანაგები გამოდიან რა იმ მოსაზრებიდან, რომ ამა თუ იმ წრის ან უჯრედის წევრობა მის სურვილზეა დამოკიდებული, სამწუხაროდ, ბოროტად იყენებენ ამ უფლებას, სრულიად სწყდებიან ყოველგვარ კულტურულ მუშაობას და ნეიტრალურ მდგომარეობაში სცვივიან.

არ არის საკმარისი დავაარსოთ ესა თუ ის წრე—უჯრედი და მივუჩინოთ მას თუ გინდ აქტიური და მცოდნე ამხანაგი, თუ ჩვენივე დაარსებული წრეებისა და უჯრედების მუშაობაში ჩვენც არ მივიღებთ მონაწილეობას, ისინი ამ შემთხვევაში ვერავითარ ნაყოფს ვერ მოგვიტანენ და მათი არსებობა მხოლოდ ქაღალდზე დარჩება.

თვითეული ამხანაგის ვალდებულებას შეადგენს ყოველნაირად ებრძოლოს კულტურულ საქმიანობისადმი ასეთ გულგრილობას; არც ერთი ამხანაგი არ უნდა დარჩეს ამა თუ იმ წრის გარეშე: ჩვენ უნდა გვაინტერესებდეს არა მხოლოდ რომელიმე წრე—უჯრედის დაარსება, არამედ მათი ნაყოფიერი მუშაობაც.

სამხედრო ვ. კუნაველი.

## ჩვენი ნაწილების საყურადღებოთ

რედაქცია ამით აცხადებს 6-სე ლეგიონის, 1-ლი ლეგიონის, ცხენოსანი ლეგ. და გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის საყურადღებოთ, რომ გაზეთების გზავნა ნისიად, რომელიც ეგზავნებოდათ მათ პირველ იანვრიდან: პირველს—50 ც. მეორეს—50 ც.; მესამეს—50 ც. და მეოთხეს—70 ც. შეუწყდებათ 1-ლი მარტიდან თუ ამ დღეებში არ შემოიტანენ იანვრისა და თებერვლის დავალიანებას; პირველი—40 მანეთი (ორი თვის), მეორე—40 მან., მესამე—40 მ., და მეოთხე—56 მანეთი.

## დავაარსეთ რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფი.

2-რე არტლეგ. საგაუბიცო დ ვიზიონი.

ჩვენი დივიზიონის წითელ არმიელებსა და უფ-პოლიტშემადგენლობას შორის ძლიერ კარგი განწყობილებაა. მეთაურები ხშირად მოდიან ჩვენთან თავისუფალ საათებში და ატარებენ საუბრებს.

ამას გარდა ისინი სისტემატიურად ესწრებიან დივიზიონში არსებულ ყველა წრეების მეცადინეობას.

ლენინის კუთხეში ყოველსაღამოობით ტარდება საუბრები. მეთაურები აქაც არ ღალატობენ თავის კარგ დამოკიდებულებას წითელ-არმიელებთან და ესწრებიან საუბრებს, სადაც თავისი გამოცდილებით და ცოდნით ბევრ რამეს გვძენენ. დაარსებულია აგრეთვე რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფი, რომელშიდაც ყოველ საღამოობით ხდება მეცადინეობა და დიდ ინტერესსაც იწვევს წითელ არმიელებში.

საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ყველა ამ საკითხთან ერთად ცოტა ჩამოვრჩით ქვემეხებზე მეცადინეობაში.

უმთავრესი ყურადღება აქეთკენ უნდა იქნეს მიპყრობილი ამჟამად და მაგრად უნდა ვგრძნობდეთ თავს ჩვენს სპეციალობაში.

სამხედრო პ. ბურჭაძე.

## პირნათლად შევასრულეთ დავალებები.

3-მე ლეგ. სკოლის გამოშვება.

ამ რამოდენიმე ხნის წინად გამოშვებული იქნა მესამე ლეგიონის სკოლა. კურსანტების უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი სამეცადინო წიგნი სდება არ მოიპოვებოდა ქართულად, ღირსეული მომზადებით შეხვდა გამოცდებს და გაამართლეს თავიანთი მასწავლებელი—მეთაურების იმედები.

კურსანტები ღირსეული მომზადებული აღმოჩნდენ, როგორც პოლიტიკურად, ისე სამხედრო საქმეშიდაც.

ახლად გამოსული მეთაურები ფიცულობენ, რომ სკოლაში მიღებულ სწავლას ღირსეულად გამოიყენებენ წითელი არმიელების აღსაზრდელად.

იმედია ლეგსკოლა კიდევ უფრო ენერგიულად მოკიდებს ხელს მომავალში სხვა მეთაურების აღზრდის საქმეს და ღირსეულად შეასრულებს თავის მოვალეობას მუშურ-გლეხური წითელი ლაშქრის წინაშე.

სამხედრო გვიმძირელი.

## მოგვეცით ჩვენი ხვედრი.

1-ლი ლეგიონის ინეს საყურადღებოთ.

28 იანვარს რამოდენიმე წითელ არმიელები გადაგვიყვანეს 1-ლ ლეგიონიდან 3-ე ლეგსკოლაში. საატესტატო სიის თანახმად ჩვენ დაკმაყოფილებული ვიყავით 28 იანვრამდე ყველაფრით, იმ დროს, როდესაც ორი კვირის ხვედრი შაქარი 1-ლ ლეგიონში არ მიგვიღია.

რად გვაკლებს აღნიშნული მნე ჩვენს კუთვნილს?

დროა მოგვეცეს ჩვენი ხვედრი.

წ. არმ. მინაშვილი.

## რად არ დაუწესეს ხელფასი?

3-ე ლეგიონი.

ლეგიონში წითელ არმიელის კმაყოფაზეა ჩარიცხული ერთი მეწაღე, რომელიც უკერავს და უკეთებს ლეგშემადგენლობას ფეხსაცმელებს. პირველად არაფერს გვეუბნება, მაგრამ ჯამაგირების მიღების დროს აყენებს თავის ანგარიშს, რომელიც კერძო მოხელის ანგარიშს ასცილდება ბევრად.

საინტერესოა გავიგოთ, ჩვენი მნე რად არ აქცევს ამას ყურადღებას და მისი მიღებისთანავე რად არ დაუწესა ხელფასის ნორმა?

სამხედრო ლენ—ტასო.

# საბჭოთა ხელახალი არჩევნები საქართველოში.

### ლეჩხუმის მაზრაში

14 თებერვალს დაიწყო საბჭოთა ხელახალი არჩევნები. არჩევნებს დიდის ყურადღებით ეპყრობა გლეხობა.

ცაგერის თემში აქტიური მონაწილეობა მიიღო გლეხობამ. თემის საბჭოში არჩეულ იქნა 60 კაცი. ამათგან 13 პარტიის წევრია, 8 კომკავშირელი, დანარჩენი უპარტიო.

### დუშეთის მაზრაში

მაზრის ზოგიერთ თემებში არჩევნები დასრულდა. მოსახლეობა დიდის ინტერესით ეკიდება არჩევნებს.

ზოგიერთი თემებიდან მოდის ცნობები, რომ ქალები მრავლათ გამოდიან არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ.

კობის თემი. კობის თემში უკვე აირჩიეს სათემო საბჭო 31 დეპუტატის შემადგენლობით. მათ შორის 2 კომუნისტია, 8 კომპარტიის კანდიდატი და 21 უპარტიო.

### ბორჩალოს მაზრაში

არუხლოს თემი. არუხლოს თემში არჩევნები დასრულდა. თემი დანაწილებული იყო რამოდენიმე საარჩევნო უბნათ. თემსაბჭოში აირჩიეს 30 დეპუტატი. აქედან 2 კომუნისტია, 3 ახკომკავშირელი, 1 კომპარტ. კანდიდატი და 3 ქალი.

### გორის მაზრაში

რუისის თემი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 60 პროცენტმა. თემსაბჭოში აირჩიეს 27 დეპუტატი. აქედან 4 კომუნისტია და 4 ახკომკავშირელი.

### ზუგდიდის მაზრაში

დარჩელის თემი. დარჩელის თემში არჩევნები დიდის წარმატებით ჩატარდა. სულ აირჩიეს 30 დეპუტატი. მათ შორის 5 ქალია, 7 კომუნისტი და 2 კომკავშირელი.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 50 პროცენტმა.

# ავიაქიმი სას.-სამ. გამოფენაზე.

საქართველოს ავიაქიმმა გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რომელიც გაიხსნება მარტში დიდუბეში.

აღნიშნულ გამოფენაზე მონაწილეობას მიიღებენ მრავალი ფირმები უცხოეთიდან. გამოფენაზე შემოიტანენ მრავალნაირ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს.

ავიაქიმს განზრახვა აქვს გამოფენაზე მოაწყოს საცდელ-საჩვენებელი მიწის ნაკვეთის დამუშავება. აღნიშნულ ნაკვეთზე ნაჩვენები იქნება თუ ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთს რამდენი მოსავლის მოცემა შეუძლია თუ მას კარგათ მოუვლიან. გარდა ამისა ნაჩვენები იქნება აგრეთვე ხელოვნური განოყიერება ნიადაგისა. მიწის აღნიშნულ ნაკვეთის ერთ ნაწილზე ხელოვნურათ მოაშენებენ მოსავლის მავნებლებს (თაგვები, მახრა და სხვა) და ავიაქიმი შემდეგ მოაწყობს მავნებლებთან საჩვენებელ ბრძოლას, ჩამოსულ გლეხების თანდასწრებით. ბრძოლისათვის გამოყენებულ იქნება აეროპლანები და სხვა ქიმიური საშუალებანი.

თავის პავილიონში ავიაქიმს ექნება მოწყობილი განსაკუთრებული დარბაზი, სადაც ჩამოსულ გლეხებისათვის მოეწყობა ლექცია-საუბრები სასოფლო-მეურნეობაზე და სას.-სამეურნეო მანქანების ჩვენება. ექსკურსანტ გლეხებს დაბრუნებისას დაურიგებენ ბროშურებს სასოფლო მეურნეობაზე.

გამოფენაზე მოეწყობა აგრეთვე გლეხების ფრენა აეროპლანებით. ამავე მიზნით მოსკოვიდან გამოწერილია სფერიული აეროსტატი (საჰაერო ბუშტი).

ავიაქიმი გარდა ამისა გადაიღებს კინოსთვის სასოფ.-სამ. მანქანების გამოცდას, მუშაობას და საცდელ მიწის ნაკვეთზე მოსავლის ზრდის პროცესს.

დ.

# რა საჭიროა ასეთი ხელმძღვანელი?

3-ე ლეგიონი.

ლეგიონს დაქირავებულ ყავს წრის ხელმძღვანელად კერძო პირი, მაგრამ ამ მოვალეობას ის ნაკლებად ასრულებს. მას მხოლოდ მაშინ ვხედავთ ნაწილში, როდესაც რამეა მისაღები. თავისი მოვალეობის შესრულება სრულიად არ აინტერესებს. დრამ-წრე თვით ამზადებს პიესებს და სდგამს, მაგრამ ყოველთვის ცუდათ მოსდის. აკლია ხელმძღვანელის ხელი.

ამას გარდა კლუბში წარმოდგენების დროს ეწევიან თამბაქოს. გამგეობა ამას ყურადღებას არ აქცევს და კვამლით იხვრჩება ხალხი. ამის წინააღმდეგ სათანადო ზომები უნდა იქნეს მიღებული, ხოლო დრამწრის ხელმძღვანელი თუ არ შეასრულებს თავის მოვალეობას, სხვა გამოინახოს.

საიხკორი გ. ჭალელი.

# ამბები სოფლებიდან

დასასვენებელი სახლი. ჯავაში (სამხრეთ ოსეთში) აშენებენ დასასვენებელ სახლს.

ახალი მანქანები. ქუთაისის მაუდის საქსოვი ქარხნის საჭიროებისათვის ქუთ. აღმასკომმა მიიღო 20 ახალი დაზგა და შალის საწმენდი მანქანები.

სიღნაღში გაიხსნა წითელი ჯვრის სამაზრო განყოფილება.

სოფ. ანაკლიაში (სამურზაყანო) გაიხსნა საბეითალო პუნქტი.

# ვინ იქნება შემდეგი?

ჩვენ მესამე ლეგიონის წითელარმიელები: პაიჭაძე პარმენ, ბერაძე ილია და გიორგაძე ამირანი ვიწერთ გაზეთ „წითელარმიელს“ სამი თვით ოზურგეთის მაზრის, ხიდისთავის რაიონის სოფ. ჯვარცხმის ქოხ-სამკითხველოსათვის და ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს: მოსე პაიჭაძეს, სარდიონ მგალობლიშვილს, ლუკა ნიჟარაძეს, მარია ჩხიკვაძეს, გიორგი უნგიაძეს, ალექსანდრე მიქარიძეს და ნიკოლოზ ბერაძეს.

# ახალი ამბები.

— საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად ტფილისის აღმასკომმა გადასდო სამი ათასი მანეთი.

— გლეხების გადასახლება. ტფ. აღმასკომმა დაადგინა სოფ. კდესში დასახლებული გლეხები გადაასახლოს უფრო კარგ ადგილას და ამისათვის გაიღოს შესაფერი თანხა.

— ავსტრიელ მუშათა დელეგაცია ტფილისში მოელიან 25 თებერვალს.

— შაქარი. მიმდინარე წელს ამიერ-კავკასიაში შემოტანილ იქნება 1.900 რონოდა შაქარი.

— სას.-სამ. გადასახადი. ტფილისის მაზრაში აკრეფილ იქნა 1-ლ თებერვლამდე 127.273 მ. სას.-სამე. გადასახადი.

— ქინა-ქინა. ბათომში მიიღეს საზღვარ გარეთიდან საქართველოსთვის 150 კილო ქინა-ქინა.

— ტრაქტორზე მომუშავეთა კურსები გაიხსნა ბათომის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმთან. კურსებზე ისწავლის 20 კაცი.

— ჯანსახკომმა სოხუმში გახსნა სამალარიო პუნქტი.

## ამხ. ამხ. წითელარმიელებო, გამოიწერეთ და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

# პასუხი შეკითხვებზე.

**გოგიშვილს.** თქვენ უნდა წარადგინოთ საბუთები განათლების განყოფილებაში, რომ თქვენ რჩენაზე იმყოფება ის პატარა ქალი, დახმარებისთვის მიმართეთ სამხედრო კომისარიატს.

**გუბელს.** მიმართეთ ნაწილის სამხკომს დარიგებისთვის და დახმარებისთვის.

**ძინძიბიძეს.** უნდა იცხოვროთ მხოლოდ სოფელში.

**გაგუას.** შეგიძლიათ შეფასების მიხედვით სამოქალაქო ძიება სასამართლოს წესით.

**გ. გედევანიშვილს.** სახლის პატრონს ქირა თუ არ მიაქვს, უნდა შეტანილ იქნეს ხაზინაში და ქვითარი სასამართლოში. შეკეთების შესახებ ზოგჯერ საჭიროა სახლის პატრონის თანხმობა.

**ქუმსიაშვილს.** მიმართეთ ადგილობრივ თემის აღმასკომს.

**გოგოლაშვილს.** 1924 წ. ოქტომბერში გამოწვეულები მსახურებენ ორ წელიწადს.

**გოროზიანს.** არ ჩაგეთვლებათ ნამდვილ სამს ხურათ.

**ვ. გ—ნს.** ჯამაგირი უნდა მიიღოთ შტატის მიხედვით.

**სირაძეს.** მეთაურთა სკოლაში ეხლა მიღება არ შეიძლება. შეიტანეთ განცხადება აგვისტოში.

**პერტიას.** ვინაიდან თქვენ ჯანმრთელობა ხელს არ გიწყობთ სამწყობრო სამსახურის გავლისთვის, თქვენ შეგიძლიათ მოემზადოთ და ჩააბაროთ გამოცდები საშუალო აღმზრდელობაზე, თანახმად კ. წ. დ. არმიის სამმართველოს ცირკულიარისა № 70881—26 წ.

**ბუჩუკურს.** სამი თვის სამწყობრო მეცადინეობის შემდეგ, შეიძლება წ. ა. გადაყვანილ იქნეს შტაბში.

**ბა—ძეს.** გაწვევის დროს შეგეძლოთ გეჩივლათ, თუ თქვენი უფლება დარღვეული იყო. (სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონი მუხ. 105).

**მოწაფეს.** თუ უარი განაცხადეთ ორკესტრში სამსახურზე, ნაწილს შეუძლია დაგითხოვოს სამსახურიდან.

**ქალაქელს.** თქვენს მაზრას ტარების ვადა არ გათავებია, ამიტომ ახალი არ მოგეცემათ.

**უმ. მეთაურს.** შეშა უფასოდ არ გეძლევათ.

**ურბნელს.** ჯამაგირს მე-4 კატეგორიით სწორად ღებულობთ.

**№ 5.** თქვენს შეკითხვაზე გიპასუხეთ ჩვენი გაზ. № 34.

**ტიტანიკას.** შეგიძლიათ აღძრათ შუამდგომლობა ნორმალურ სკოლაში შესვლის შესახებ უფროსის წინაშე.

**კურსანტს.** სამხედრო სკოლების კურსანტებს არ შეუძლიათ იყვნენ სამოქალაქო სასწავლებლების მსმენელები.

**მეთაურს.** სამოქალაქო ტანსაცმელის ტარება, სამსახურის გარეშე, შეუძლია მხოლოდ ოკეულის თავიდან დაწყებული ზევით.

**თელაველს.** ტყის ყიდვა-გაყიდვა არ შეიძლება.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-4-ხე ქართულ მსრ. ლეგიონის მე-6-თე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება ამავე ასეულის ზემდეგს—ა. ლ. კ. კ. წევრს—ამხ. ირაკლი ივანესძე შუბლაძეს (სენაკის მაზრის ს. დიდი გეზათის მცხოვრებს) კომპარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ.

კომუჯრედი გთხოვთ თუ ვინმემ რაიმე საწინააღმდეგო იცით, ამხ. შუბლაძის შესახებ გვაცნობოთ ამა წლის 25 თებერვლამდე შემდეგი მისამართით: ქ. ჭიათურა მე-6-თე ასეულის კომუჯრედის მდივანს—დავით გუბელაძეს.

# ჩვენი ფოსტა

**ამხ. ამხ. იოსელიანს და ჭალელს** (3-მე ლეგ.) თქვენი წერილი „საზეიმო კრება“ და „დროზე გამოასწორეთ“ არ დაიბეჭდება ასეთები იყო ჩვენს გაზეთებში.

**ამხ. ამხ. მარტყოფიშვილს და მორიელიას.** თქვენი წერილებ „დროა ყურადღება მიექცეს“, სასადილოს ბიბლიოთეკის და კლუბის შესახებ გამოდგება ადგილობრივი კედლის გაზეთისთვის.

**ამხ. გოცირიძეს.** (მე-3 ლეგიონი) თქვენი წერილში—დისციპლინაზე, საჭიროა უფრო კონკრეტულ მაგალითზე მითითება.

**ამხ. კუტუბიძეს.** (3-მე ლეგ.) კორესპონდენცია „საკავშირო ცხოვრება“ გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. დ. კოსტავას.** (ქუთ. საწ. საავადმყოფო) თქვენი კორესპონდენცია „მოწყალე დის პოდლეევის შესახებ“ გადაეგზავნა საავადმყოფოს სამხკომს ზომების მისაღებად.

# განცხადება.

თბილისის გარშემო მდებარე ადგილებში ყოველ დღე ადგილი აქვს უბედურ შემთხვევებს, მინდორში ნახულ ჭურვების, მილების და სხვა ამაფეთქებელ ნივთიერებებზე გაუფრთხილებლად მოპყრობის გამო როგორც მოქალაქეთა ისე ბავშვების მხრივ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი მოისურვებენ ამ აძფეთქებელი მასალების დაცლას და სპილენძისა და თითბერის ნაწილების მათგან მოცილებას.

შესაძლებელ უბედურ შემთხვევათა თავიდან აცილების მიზნით, ყველა მოქალაქეებს სასტიკად ეკრძალებათ ამაფეთქებელ ნივთიერებათა დაცლის ადგილებში ყოფნა—ვერგეტილის მთაზე, მარილიან ტბების რაიონში, ლითონის მეაგროვებლად.

არტილერიის ჭურვების, მილების, ფისტონების და სხვა ამაფეთქებელ ნივთიერებათა აღმოჩენის შემთხვევაში მცხოვრებლებმა მათ ხელი არ უნდა ახლონ და არ გადაიტანონ ერთი ადგილიდან მეორეზე, არამედ წამსვე უნდა გააცხადონ მახლობელ კომისარიატში, ან სამხედრო ნაწილში ამის შესახებ, სათანადო ზომების მისაღებათ.

ის მოქალაქენი, რომლებიც შენიშნულ იქნებიან აღნიშნული მოთხოვნილების შეუსრულებლობაში კანონის ძალით მიცემული იქნებიან პასუხისგებაში სასამართლოში გადაცემამდე.

ქ. თბილისისა და მისი რაიონების კომენდანტი
აბაშიძე.

# სახელმძღვანელო წიგნების სია.

საუბარი მესამე

1-ლი საფეხურის პარტ-სკოლების საუბრებისათვის.

გვაზავა და გორდელაძე, პოლიტცოდნა. ტ. „წერკუმსის“ 1925. (გვ. 24-30).

ლ. მ. კ. როგორ არის აგებული რ. კ. პ. ტ. „ცეკა“ 1924. (გვ. 58 64).

პოპოვი ნ. და იაკოვლევი ა. ლენინის ცხოვრება და ლენინიზმი. ტ. „ცეკა“ 1924. (გვ. 47 89).

ლენინი „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში. ტ. სახგამ. 1924. (გვ. 6-8).

ლენინი სახელმწიფო და რევოლიუცია. ტ. 1918.

Станчинский. Политграмота.

Познер В. Книга для чтения для сокращенных школ политграмота. Выпуск 1. М. „Гиз“ 1925.

საბიბლიოგრაფიო ბიურო.

# გამოვიდა ახალი წიგნები

სამხედრო საქმე

1) ცაგარელი ლ. ლექსიკონი სამხედრო-ტეხნიკური, ტ. ქარ. სამხ. სარევ. საგამომცემლო კოლეგია 1925 წ. ფასი 1 მან. 50 კ.
2) დროებით სადისციპლინო წესდება. ტ. ქარ. სამხ. სარევ. საგამომცემლო კოლეგია. 1925. ფასი 20 კ.

სოციოლოგია

3) ნათაძე გ. საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა. ნაწილი I და II. ტ. მეცნიერება საქართველოში 1925 წ. ფ. 1 მან. 50 კ.